

როგორც აღვნიშნავდით, კათოლიკე-პაპისტების მიერ გავრცელდა მორიგი სიცრუე (www.geocatholics.com) (იხ.ქვემოთ), რომ თითქოს კვიპროსზე შემდგარ შერეულ შეხვედრაზე 2009 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა პაპის პრიმატის შესახებ რაიმე დოკუმენტი, რომელსაც, თურმე, ხელს აწერენ მართლმადიდებელი ეკლესიები, საქართველოს ეკლესიის ჩათვლით. ამ პაპისტური სიცრუის კიდევ ერთხელ სამხელად გთავაზობთ ბატონ პანაგიოტ ტელევადაისის წერილის თარგმანს ბერძნული ჟურნალიდან ΠΑΡΑΚΑΤΑΘΗΚΗ, რომელიც შეეხება კვიპროსზე პაფოს შეხვედრის ფიასკოს.

ΠΑΡΑΚΑΤΑΘΗΚΗ

ΔΙΜΗΝΑΙΑ ΕΚΔΟΣΙΣ ΤΟΥ ΟΜΩΝΥΜΟΥ ΣΙΛΛΟΓΟΥ*ΣΕΠΤΕΜΒΡΙΟΣ-
ΟΚΤΩΒΡΙΟΣ2009*ΤΕΥΧΟΣ68

პაფოს შეხვედრის სრული წარუმატებლობა (გვ. 10-13)

ბატონი პანაგიოტი ტელევადაისი, ფილოლოგ-თეოლოგი

მართლმადიდებლებისა და პაპისტების ერთობლივი შეკრება, რომელიც პაფოში გაიმართა, ხმაურიანი წარუმატებლობით დასრულდა. როგორც წინა შეხვედრისას, ახლაც, საბედნიეროდ, ერთობლივი ტექსტის გამოქვეყნება ვეღარ მოხერხდა. „დიდება შენდა ღმერთო“.

სარწმუნოების საკითხებთან დაკავშირებით, დაცემის ტენდენცია, რომელიც რავენას მწვალებლობის ტექსტით გაიხსნა, შეჩერებულ იქნა. ყოველ შემთხვევაში ამ დროისათვის მაინც.

ერთობლივი ტექსტის დასრულების წარუმატებლობა

კონფერენციის მონაწილეებმა ვერ შეძლეს ტექსტის დასრულებული სახით წარმოდგენა, რადგან შეხვედრაზე მყოფი მართლმადიდებელი წარმომადგენლები ამ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებულ არგუმენტებს იძლეოდნენ.

პაპისტები კი თავისას ამბობდნენ. ეკუმენისტებს სურდათ შეეხილწათ წმ. მოციქულების 34-ე კანონი, რათა განემართლებინათ რომის პაპის უმაღლესი ძალაუფლება. მათ სურდათ კანონის შინაარსობრივად და სრულიად თვითნებურად განმარტება, მანამდე, სანამ სინოდი პაპის „უზენაესობას“ არ დაემორჩილებოდა.

საბერძნეთის ეკლესიის სინოდის იერარქიების წარმმართველი მცნებები იყო, „უმაღლესი ძალაუფლების“ შესახებ ემსჯელათ მეორე მსოფლიო კრების მე-3 კანონისა და მეოთხე მსოფლიო კრების 28-ე კანონის შესაბამისად.

ამ კანონების მიხედვით, რომის მცდელობა, ცნოს და აღიაროს პაპის „უზენაესობა“, რომელიც პეტრე მოციქულს ეფუძნება, არის ყალბი.

მორწმუნეების მშვიდობიანი პროტესტები

შერეული საბჭოს განცხადების მიხედვით, ეკუმენისტები ზედმეტად გააღიზიანა და აღაშფოთა როგორც სტავროპოლის მონასტრის ბერების პოზიციამ, ასევე პატიოსანი სასულიერო პირებისა და ერის ხალხის მშვიდობიანი აქციის მოწყობამ დიალოგის გაუქმების მოთხოვნით, დიალოგისა, რომელიც მართლმადიდებლური რწმენით ვაჭრობას ჰგავდა.

მხურვალე მადლობას ვუხდით ყველას, ვინც „ცხვირ-პირი გაუჭყლიტა“ ეკუმენისტებს და ნება არ მისცეს დაესრულებინათ თავიანთი უწმინდური საქმიანობა, რომელიც წამოიწყეს რავენაში, პორტოში, ალეგრია, ელენტა და თესალონიკში. ქრისტეში პატივისცემითა და სიქადულით მივესალმებით სტავროპოლის მონასტრის პოზიციას და ასევე ვემაღლიერებით ყველა კვიპროსელ და ბერძენ მამებსა და ძმებს, რომლებმაც გადაარჩინეს და დაიცვეს კვიპროსის ეკლესიის ავტორიტეტი. ვისაც ეყო კადნიერება და თავი „ცოდნის დამცველად“ გამოაცხადა, პირდაპირი მნიშვნელობით გაანადგურა ეკლესიის ავტორიტეტი. „ჭეშმარიტმა დამცველებმა“ ხელი მოაწერეს როგორც ბალამანტისა და შამბუზის თანხმობას, ასევე რავენისა და ელენტას ერთობლივ სტატიასაც. ისეთ „ღრმა ცოდნას“ ამჟღავნებენ, რომ დასაშვებად მიაჩნიათ ერეტიკოსებთან ერთად თანალოცვაში მონაწილეობის მიღება და, ასევე, შერეული ქორწინებების აღსრულებასაც მხარს უჭერენ. ისიც კარგია, რომ ბოროტ სულთა განდევნის ღოცვებს ჯერ არ ეხებიან!

პაფოში უღირსი საქციელის შესახებ

ჩვენს გულისწყრომას გამოვხატავთ პაფოში მომხდარი დაუჯერებელი უმსგავსობისადმი, სადაც პირდაპირი მნიშვნელობით მასხრად აიგდეს ჩვენი ეკლესია და საზოგადოება Urbi et orbi. განცვიფრებულები დავრჩით მათი ამ თავხედობით, კანიბალური „იანიჩარობით“, აყალმაყალითა და თეოლოგიური უმეცრებით, ასევე სტავროპოლის ბერებისა და სხვა კეთილი მამებისა და ძმების მღევნელთა სიშმაგით, – ბერებისა, მამებისა და ძმებისა, რომლებიც

ეკლესიაში მშვიდად, ღოცვაში მყოფნი გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს. კიდევ ერთხელ განცხადდა ეკუმენისტების საზარელი მისწრაფებები, თუ ზომები, – ღვთის სახლი სავაჭრო სახლად აქციეს, პაფოსის საკათედრო ტაძარი იმ ტურისტულ ადგილად, სადაც დაშვებულია ნებისმიერი აღმსარებლობის მიმდევართა ქორწინება. ყოველივე ეს კი მართლმადიდებლური ეკლესიის შებილწვის საწინდარია (მწვალებლები ქორწინების საიდუმლოს აღსრულებას იღებენ თავს).

შთამბეჭდავი მახალითები

ერთობ აგვადეღვა ბულგარეთის ეკლესიის პოზიციამ, რომელმაც უზნეო კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა. ღმობიერებით ხელზე ვემთხვევით საბერძნეთის ეკლესიის იმ მღვდელმთავრებს, რომლებმაც „ბაალს მუხლი არ მოუდრიკეს“. შეურყევლად დარჩნენ მართლმადიდებლობის თერმოპოლებთან (თბილ კარიბჭესთან) და ისტორიული გადაწყვეტილება მიიღეს, რათა ეკუმენისტ მიტროპოლიტებისათვის - მესინიანა ქრიზოსტომოსისთვისა და აქია ათანასიასთვის წარმმართველი დირექტივები მიეცათ. მსურვალედ ვთხოვთ, დაასრულონ თავიანთი ღვთისსათნო საქმე, – არასანდო ეკუმენისტების ჩანაცვლება ტრადიციული ეპისკოპოსებით. მაღლიერებას გამოვთქვამთ პროფესორ ბ. ცელენგიდისადმი, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ეკუმენისტური თავდასხმების ასალაგმავად. ეკლესიის ისტორია ოქროს ასოებით ჩაწერს მის ღირსეულ სახელს, კეთილშობილურ ზნეობასა და აღმსარებლურ სულისკვეთებას.

კვიპროსელი მღვდელმთავრების პოზიცია

გაოცებულნი დავრჩით კვიპროსის ეკლესიის მღვდელმთავრების დანაშაულებრივი მდუმარების გამო, რომლებმაც გამოკვებეს ეკუმენიზმისა და სინკრეტიზმის ურჩხული, და ამ გზით პასუხისმგებლობაც მოიხსნეს თავიანთი მხრებიდან, რადგან მათგან ზოგიერთები შეგნებული ეკუმენისტები არიან. ზოგიერთებს, ე.წ. ფერარა-ფლორენციის „გამაერთიანებლებს“, მიაჩნიათ, რომ ჩვენი რწმენის ყიდვა-გაყიდვა ჩვენი ქვეყნის გადარჩენას ემსახურება. სხვანი თვლიან, რომ მსგავსი ქმედებები „კვიპროსელი მართლმადიდებლობისთვის“ უცხოა. (თავდაპირველად უნდა ვიცოდეთ, რა სახისა ეს „კვიპროსული

მართლმადიდებლობა“? ვინ არიან მათი წარმომადგენლები? რომელ ტრადიციას ეკუთვნის - კანდარას ცამეტი ღირსმოწამე „კვიპროსელი მართლმადიდებლობის“ ტრადიციას თუ „არგენტინის მართლმადიდებლობის“ ტრადიციას?) ზოგს სულიერი ძალები არ გააჩნიათ, ისინი, ერულად რომ ვთქვათ, „კაცუნები“ არიან. სხვები ყველაფერს ითავსებენ, მიდიან ყველანაირ კომპრომისზე. ერთადერთი, რაც მათ აღელვებთ, ეს მომდევნო მთავარეპისკოპოსის საყდრისთვის პაექრობაა. სხვები კი არაკანონიერი უსჯულოების და ეკუმენისტების წინააღმდეგ არაფერს აკეთებენ.

ნამდვილად ქების ღირსნი არიან ის მღვდელმთავრები, რომლებმაც სინოდზე მშვიდობიანი გზით პაპიზმისადმი პროტესტის გამოხატვის უფლება მოითხოვეს.

მრავალმა კვიპროსელმა მღვდელმთავარმა თავიანთი პოზიცია თავიდანვე გამოავლინა და ზოგიერთი გაურკვეველი პოზიციის მქონე ადამიანი აიძულა, მათ გაჰყოლოდა. ამგვარად, აღმსარებელი, მოშურნე სასულიერო პირებისა და ბერების მღვდნელები მარტო დარჩნენ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კიტევს მიტროპოლიტი ხრიზოსტომოსი, რომელმაც კანონების და წესების ფარგლებში ცხადად გამოააშკარავა, და განაცხადა, რომ აღმსარებელი მამების ყველანაირი დევნა, ეს არსობრივად, დევნაა სარწმუნოებისა და არა დაცემისა. და ამ გზით განსაჯა სინოდის სხდომის გადაწყვეტილება.

სიფხიზლე, სიფროთხილე და ლოცვა

ღვთის შეწევნით და მებრძოლი, ღირსეული და საყვარელი მამების და ძმების მოშურნეობით, კვიპროსის ბრძოლა ეკუმენისტების წინააღმდეგ გამარჯვებით დასრულდა. ბრძოლის მომდევნო ეტაპი ვენაში გადაინაცვლებს. მანამდე კი სიფხიზლე, სიფროთხილე და ლოცვა გემართებს. ვინც სათნო ეყო ღმერთს, მათ წინაშე მუხლს ვიდრეკთ, ხოლო ვინც წმინდა სწავლებებს უღალატა, მათთვის ვლოცულობთ, რომ ღმერთმა მათ სინანულის დრო მისცეს და საშინელ სამსჯავროზე ღვთის წინაშე ცოდვებით დამძიმებულნი არ წარსდგნენ.